AUDIT - EXTRA

593-104-100 242734136 AUDIT-EXTRA@LIST.RU

#25/8-1 13 მარტი 2025 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების შედეგებზე.

აუდიტის დაწყების საფუძველი:

შპს „აუდიტ-ექსტრა“-ს დირექტორს ოლეგ ზარქუასა და ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ს შორის 2025 წლის 11 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება №10.

შემსრულებელი :
აუდიტრული კომპანია შპს „აუდიტ-ექსტრა“
სიდენტიფიკაციო კოდი: 242734136
მისამართი: ქ.ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა №83
აუდიტორულის საქამიანობის გამოცდილება 2005 წლიდან.
ფირმის რეგისტრაციის ნომერი **SARAS-F-580436**

დამკვეთი:
საფეხბურთო კლუბი ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“
სიდენტიფიკაციო კოდი: 419985582
მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N 90

1. მოსახრება

ჩავატარეთ ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენის აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს (ან უტყუარად და

სამართლიანად ასახავს) ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,,ოდიში 1919“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

2. მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის _ "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" _ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „ჩხოროწყუ სამეგრელო“-ს იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს [იურისდიქცია]–ში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

3. აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას.

4. ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,,ოდიში 1919“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან

საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა ალტერნატიული არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,,ოდიში 1919"-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

5. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც,

გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

დანართის სახით წარმოდგენილია დაკავშირებული დოკუმენტაცია

შპს „აუდიტ-ექსტრა“-ს

დირექტორი-აუდიტორი: ოლეგ ზარქუა

აუდიტორი: სოსო ზარქუა

აუდიტორული დასკვნის დანართი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,,ოდიში 1919

პროცესების აღწერა

ზოგადი ინფორმაცია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,,ოდიში 1919“ (ს.კ. 419985582) დაფუძნდა 2012 წლის 25 აპრილს, კლუბის დამფუძნებლები არიან:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ს.კ. 220418956

კლუბის იურიდიული მისამართია: საქართველო. ქ. ზუგდიდი.რუსთაველის ქ.90

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,,ოდიში 1919“ ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობის უფლება მინიჭებული აქვს კლუბის დირექტორს - შოთა ფარცვანია, პ.ნ 19001021905

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,,ოდიში 1919““-ის გაერთიანებული აქვს სახაზინო ანგარიში

მიზანი და ამოცანა

კლუბის ძირითად საქმიანობის მიზანია:

1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
2. მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტეგრაცია სპორტული ღონისძიებებში;
3. სოციალურად დაუცველი ოჯახის მოზარდი წევრების ინტეგრაცია, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში
4. სპორტული შეჯიბრებების მოწყობა და მათში მონაწილეობის ხელშეწყობა;
5. სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით;

ფინანსური ანგარიშგების მომზადების აღწერა

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით პერიოდს, იგი მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების ვალუტა არის ლარი, ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოიცავს მეჯემენტისაგან გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენაზე ასევე მოითხოვს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირებას, ბალანსის შედგენის თარიღისათვის, ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვადვდებიდეს მიმდინარე შეფასებებისაგან, პერიოდულად საჭიროა ამ შეფასებების გადახედვა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,ოდიში 1919“ განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი ვადით , მენეჯმეტს აქვს სურვილი საქმიანობის გაგრძელების და განვითარების მომავალში.

ფინანსური ანგარიშეგებები შედგება: საბალანსო, მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების უწყისებისაგან, ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ანგარიშგებისაგან და განმარტებითი შენიშვნებისაგან.

სააღრიცხვო პოლიტიკის აღწერა

ა) ფულადი სახსრები.

ფულადი სახსრები მოიცავს ფულს ხაზინაში ლარის ანგარიზე.

ბ) ძირითადი საშუალებების ღირებულება.

ძირითადი საშუალებების ღირებულება განისაზვრება მათი შეძენის მომენტში გაწეული დანახარჯებით, რომელიც მოიცავს აქტივების შეძენის ფასს, ნებისმიერ დანახარჯს რომელიც პირადაპირაა დაკავშირებული დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ძირითადი საშუალებების ექსპლატაციით მიღებული ეკონომიკური სარგებლის აღიარებისთვის დარიცხულია ცვეთა, რომელიც სისტემატიურად ნაწილდება აქტივების ვადის განმავლობაში, აქტივს ერიცხვება ცვეთა წრფივი მეთოდით, ექსპლატაციაში შესვლისთვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ცვეთისათვის განსაზღვრულია ძირითადი საშუალო სარგებლიანობის ვადა, ოფისის აღწურვილობა და სხვა აქტივები 5 წელი, არამატერიალური აქტივები (ვებ.გვერდი) 7 წელი

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.ხარჯები დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილისგან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება, ძირიტადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, განსაზრვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება ზარალში.

მატერიალური ფასეულობების განკარგვის პროცესები

მატერიალურ ფასეულობათა განკარგვაზე და შენახვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ამ ფასეულობის განკარგვაზე პასუხისმგებელ პირს. მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების, მცირეფასიანი და სასაქონლო მატერიალური მარაგების სახით.

დაწესებულებაში მატერიალური ფასეულობის შემოსვლის დროს, თუ ის განეკუთვნება ძირითად საშუალებას, დგება მიღება-ჩაბარების აქტი და ხელმოწერით გადაეცემა პასუხისმგებელი პირს რომელიც პასუხისმგებელია მის შენახვაზე.

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, ტრანსპორტირების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯს, ხოლო უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალება აიღება რეალური ღირებულებით, თვის ბოლოს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები (მცირეფასიანი საგნები), შემოსავალში აიღება ფაქტობრივი თვითღირებულებით. ეს მარაგები აღირიცხება უწყვეთი მეთოდით, სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერა და ანგარიშგებაში ასახვა ხდება ინდივიდუალურ დანახარჯთა მეთოდით.

შემოსავლები.

კლუბის დაფინანსების წყაროს წარმოადგენ სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან, სუფსიდ ები მუნიციპალიტეტიდან და შემოწირულობები სხვა არადაკავშირებული მხარეებიდან. შემოსავლებ ი აღიარებულია დარიცხვის მეთოდით.

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკ ემბრამდე კლუბის დაფინანსებამ შეადგინა 818129 ლარი, მ.შ. ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მ იღებულია 227129 ლარი აქედან სსფ-დან გრანტის დახით მიღებული იყო 130000 ლარი, საიდანაც 0000 ლარი განკუთვნილი იყო ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისთვის. სუფსიდია 591000 ლარი მირებულია მუნიციპალიური დაფინანსებით, რომელიც მთლიანად ახალგაზრდ ული ფეხბურთისთვის იყო განკუთვნილი. 95209 ლარი წარმოადგენდა საქნელი და რეალიზაციი ან მირებულ შემოსავალს (სწავლის საფასური), ხოლო 1500 ლარი წარმოადგენს სპონსორულ დახმ არებას.

ხარჯებ ი

კლუბი ხარჯებს აწარმოებს დარიცხვის მ ეთოდით, ხარჯის აღიარება ხდება იმ მომენტშო როდესაც კლუბს წარმოექმნება გადახდის ვალდ ებულება მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. 2024 წელს ხარჯმა შეადგინა 877283 ლ არი. წლის დასაწყისში ფულად სახსრების ნაშთი შეადგენდა 67858 ლარს, ხოლო წლის ბოლოს 18109 ლარს.

გრძელვადიანი აქტივები

ბიუჯეტთან ანგარისწორება განხორციელებუ ლია სრულად დარიხული თანხების შესაბამისად.

პერსონალის ხარჯი და მას თან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები შენატანები საქართველოს პ აპენსიო ფონდში წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა ულადი სარგებლები აღირიოცხება იმ მომენტში, როდესაც მოხდა შესაბამისი სერვისის მიღება თანა შორმლების მიერ.

ფულადი სახსრებ ი და მათი ექვივალენტები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირ იცხება მიმდინარე ვალდებულებების სახით 20310 ლარი, რაც წარმოადგენს ფედერაციაში საწევრო გა ასახადს.

შპს „აუდიტ-ექსტრა“-ს

დირექტორი-აუდიტორი: ოლეგ ზარქუა

აუდიტორი: სოსო ზარქუა